საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/841-17 „20" 03 2017 წ

შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივ ტივის"

**შეტყობინება**

გატყობინებთ, რომ შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივ ტივისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, 70-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების და „შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივ ტივისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე" კომისიის 2016 წლის 22 დეკემბრის N834/18 გადაწყვეტილების დარღვევის გამო, რისთვისაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია ჯარიმა არა უმეტეს მისი წლიური შემოსავლის 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ 2500 ლარისა, ჩანიშნული 2017 წლის 16 მარტის სხდომაზე განსახილველად, გადაიდო და გაიმართება 2017 წლის 30 მარტს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, ვინაიდან კომისიის 2017 წლის 9 მარტის N03/722-17 შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივ ტივის" არ ჩაბარდა. (საფუძველი: კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2017 წლის 15 თებერვლის Nშ-10/1457-17 მოხსენებითი ბარათი და კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2017 წლის 6 მარტის Nშ-10/2195-17 სამსახურებრივი ბარათი).

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2017 წლის 15 თებერვლის Nშ-10/1457-17 მოხსენებითი ბარათი - 2 ფურც.;
2. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის 2017 წლის 6 მარტის Nშ-10/2142-17 სამსახურებრივი ბარათი;

3. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2017 წლის 6 მარტის №შ-10/2195-17 სამსახურებრივი ბარათი - 1 ფურც;
4. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივის“ შესახებ.

**კომისიის თავმჯდომარე** **ვახტანგ აბაშიძე**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის
სამართლებლივი დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ პავლე ზერიას

კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის
უფროსის რატი სხირტლაძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო პავლე,

მოგახსენებთ, რომ 2016 წლის 22 დეკემბრის N834/18 გადაწყვეტილების შესაბამისად, ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის დაევალა, მე-7 პუნქტის შესაბამისად, კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე, რაც გულისხმობს 2016 წლის ივნისიდან დღემდე ავტორიზირებული პირი "ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივი"-ს მიერ, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსების ზედამხედველობას,

აღნიშნულთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 2017 წლის 15 თებერვლის მდგომარეობით კომპანიას არ განუხორციელებია შესაბამისი ქმედებები და არ წარმოუდგენია სტატისტიკური ანგარისგების ფორმები. კომპანიის მიმართ სათანადო ღონისძიებების გატარების მიზნით, დანართის სახით გიგზავნით აღნიშნული ავტორიზირებულ პირისათვის გადაწყვეტილების ჩაბარების დამადასტურებელ დოკუმენტს.

პატივისცემით,

რ. სხირტლაძე

მოამზადა: თ. მარღანია

15.02.17

| | |
|---|---|
| გზავნილის სახეობა: | წერილობითი კორესპონდენცია |
| გაგზავნის თარიღი: | 04.01.2017 15:58 |
| გზავნილის კოდი: | AP01001886604 |
| გამგზავნი: | "საქ. კომუნიკაციების ეროვნული კომისია" (204953050) |
| გამგზავნის გზავნილის ნომერი: | 03/20-17 |
| გამგზავნის მისამართი: | წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ.50/18, თბილისი, საქართველო |
| ადრესატი: | შპს"ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივ ტივი" |
| ადრესატის მისამართი: | წინამძღვრიშვილის ქ. 94, თბილისი, საქართველო |
| შემსრულებელი: | ნინო ჯავახიძე |
| სტატუსი: | მიტანილი |
| კურიერის ვიზიტის თარიღი: | 05.01.2017 11:02 |
| კურიერი: | გიორგი ცისკარიშვილი |
| ჩაიბარა: | nino bugechashvili 01020055087 (ორგანიზაციის წარმომადგენელი) |
| კომენტარი: | tele radios directori |

ხელმოწერა:

კომისიის აპარატის საფინანსო-სამეურნეო სამსახურის უფროსს

ქალბატონ ნათია დევდარიანს

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

სპეციალისტის თამარ გოშუას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ნათია,

გთხოვთ, 3 სამუშაო დღის ვადაში წერილობით გვაცნობოთ, შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივის" წარმოდგენილი აქვს თუ არა რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშების ფორმები და გადაიხადა თუ არა რეგულირების საფასურის დავალიანება. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივის" ბოლო 12 კალენდარული თვის შემოსავლის 0,5 პროცენტის ოდენობა.

პატივისცემით,

თამარ გოშუა

7 10/2794 17
06 02 17

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის
აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის
სპეციალისტს ქალბატონ თამარ გოშუას

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის ნათია დევდარიანის

**სამსახურებრივი ბარათი**

ქალბატონო თამარ,

თქვენი მ/წლის 06 მარტის №გ-10/2142-17 სამსახურებრივ ბარათთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივის“ (ს/კ-404512522) კომისიაში 2016 წლის ნოემბრის თვის შემდეგ არ წარმოუდგენია რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები (წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ნულოვანი გაანგარიშებები) და გაანგარიშებების წარმოუდგენლობის გამო რეგულირების საფასურის დავალიანება ვერ დგინდება.

კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებების შესაბამისად, კომპანიას რეგულირების საფასურის დავალიანება არ ერიცხება.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
06/03/2017

ნ. დევდ

გ-10/2195-17
06.03.17

# ამონაწერი მაუწყებლობაზე ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან

| | |
|---|---|
| ორგანიზაციის სახელწოდება: | **შპს ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივი** |
| ორგანიზაციის საგადასახადო კოდი: | 404512522 |
| მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები: | 21/04/2016, N404512522, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |

## მაუწყებლობის ავტორიზაციის მონაცემები

| | |
|---|---|
| * მაუწყებლობის სახე: | **ტელემაუწყებლობა** |
| მაუწყებლობის სახეობა: | **კერძო მაუწყებლობა** |
| მაუწყებლობის ქვესახეობა: | **საერთო ტელემაუწყებლობა** |
| ავტორიზაციის ნომერი: | BR-5015 |
| ავტორიზაციის თარიღი: | 02/06/2016 00:00 |
| თემატიკა/სხვა თემატიკები: | |
| მაუწყებლობის ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში: | 16 |
| მაუწყებლობის ენა/ენები: | ქართული, ინგლისური, რუსული |
| გავრცელების ტექნოლოგია და გეოგრაფიული არეალი: | ინტერნეტი(საქართველო), სხვა ტექნოლოგია(საქართველო) |
| მაუწყ. დაწყების ვადა და ხელმისაწვდომობა: | 02/11/16 - უფასო (ინტერნეტი), 08/01/17 (სხვა ტექნოლოგია) |
| საქმიანობის მოკლე აღწერილობა: | საერთო მაუწყებლობა, საინფორმაციო გამოშვება, თოქ-შოუ |

ამობეჭდვის თარიღი: **06/03/2017 12:09**

ხელმოწერა ____________

საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

# ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16068164, 21/04/2016 17:27:04

## სუბიექტი

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** | შპს ტელე-რადიო კომპანია ექსკლუზივი ტივი |
| **სამართლებრივი ფორმა:** | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| **საიდენტიფიკაციო ნომერი:** | 404512522 |
| **რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:** | 21/04/2016 |
| **მარეგისტრირებელი ორგანო:** | სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო |
| **იურიდიული მისამართი:** | საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ.წინამძღვრიშვილის ქ., № 94 |

**დამატებითი ინფორმაცია:**

ელ. ფოსტა: info@exclusivetv.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

## ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

## ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01030036882, ნინო ბუგეჩაშვილი

- დირექტორი - 01023007156, მანუჩარ მენთეშაშვილი
- დირექტორი - 01005000096, რევაზ წინამძღვრიშვილი
- დირექტორი - 01010015620, ნიკოლოზი მამცელიძე

### პარტნიორები

| მესაკუთრე | წილი | წილის მმართველი |
|---|---|---|
| 01030036882, ნინო ბუგეჩაშვილი | 25.000000000% | |
| 01023007156, მანუჩარ მენთეშაშვილი | 25.000000000% | |
| 01005000096, რევაზ წინამძღვრიშვილი | 25.000000000% | |
| 01010015620, ნიკოლოზი მამცელიძე | 25.000000000% | |

### ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

### გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

**ყადაღა/აკრძალვა**

რეგისტრირებული არ არის

**საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება**

რეგისტრირებული არ არის

**მოვალეთა რეესტრი**

- მოვალე: **DE15155208 24/11/2015 11:13:35**

  **რევაზ წინამძღვრიშვილი 01005000096**

  საფუძველი: **აღმასრულებელი: გიორგი პაპკიაური სუბიექტის დამატება მოვალეთა რეესტრში 24.11.2015 # A15096567-004**

---

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge